ტრადიცია ძალაში რჩება!

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 3 ივლისი.

“დინამო” (თბილისი) – “ნეფტიანიკი” (ბაქო) 1:0 (0:0).

“დინამო”: ურუშაძე, პეტრიაშვილი, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიადი, დ. დათუნაშვილი, ბარქაია, იამანიძე, მესხი.

“ნეფტიანიკი”: კრამარენკო, ბაბაევი (ზეინალოვი), ბრუხტი, ბოგდანოვი, ტროფიმოვი, სემიგლაზოვი, ტუაევი, გრიაზევი, ს. მელქუმოვი, გაჯიევი, ი. მელქუმოვი.

მსაჯი ი. ბოჩაროვი (მოსკოვი).

... მიმდინარეობდა მატჩის მე-2 წუთი. “ნეფტიანიკის” საჯარიმო მოედანზე კარის მიმართულებით ზურგით მდგარმა ბარქაიამ მიიღო ბურთი, მოწინააღმდეგე მცველებთან ბრძოლაში დაამუშავა იგი და თავისუფალ პოზიციაში მყოფ იამანიძეს გადასცა. გოლი შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ ბაქოელთა კარი აუღებელი დარჩა.

იქნებ ამ მომენტის გამოყოფა ასე საგანგებოდ არც ღირდა, მაგრამ იგი იმდენად დამახასიათებელი იყო ამ მატჩისთვის (და არა მარტო ამ მატჩისთვის), რომ გვინდა სანიმუშოდ მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე ანალოგიური მომენტი.

მე-8 წუთი. მესხმა დრიბლინგით გაიტანა ბურთი თავის ფლანგზე, მის გადაცემას კრამარენკომ ვერ მოასწრო, ჩვენს თავდამსხმელებს კი შეეძლოთ გამოეყენებინათ იგი. არც ეს მოხდა.

მე-12 წუთი. გათამაშდა საუკეთესო კომბინაცია, რომელშიც მონაწილეობდა თბილისელთა ყველა თავდამსხმელი: ბარქაია-მესხი-იამანიძე-დათუნაშვილი. კრამარენკომ შეძლო ამ ბურთის აღება, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმა რომ უფრო ზუსტად შეესრულებინა დათუნაშვილს, გოლი ნაღდი იყო.

მე-15 წუთი. იამანიძე-დათუნაშვილი. თავით დარტყმული ბურთი ასცდა კარს.

23-ე წუთი. დათუნაშვილმა მოულოდნელად დაარტყა კარის შორეული კუთხისკენ. ბურთს იქ არავინ დახვდა.

32-ე წუთი. ილიადიმ ზუსტად გადასცა ბურთი ცენტრფორვარდების ზონაში. კომბინაცია არ დამთავრდა.

46-ე წუთი. იამანიძემ და მესხმა ტემპში გაითამაშეს კომბინაცია, რის შედეგადაც მესხი პირისპირ გავიდა მეკარესთან. ორი მოწინააღმდეგის შეტაკება მოხდა კარიდან დაახლოებით 12 მეტრის დაშორებით. ბურთი კრამარენკოს დარჩა.

ღირს ამ “სიის” გაგრძელება? მაყურებლებს, ეჭვს გარეშეა, ემახსოვრებათ “ნეფტიანიკის” საჯარიმო მოედანზე შექმნილი სახიფათო მომენტები და ყველა მათი შედეგია მხოლოდ ერთადერთი გოლი.

ყველაფერს ამას ვლაპარაკობთ იმიტომ, რომ მატჩი ბაქოელებთან ძალზე ძნელი გამოდგა. დინამოელებს მთელი თავიანთი ძალების დაძაბვა დაჭირდათ, რათა ეს მინიმალური გამარჯვება მაინც მოეპოვებინათ და ზემოაღნიშნულ შესაძლებლობათა დაკარგვა მეტისმეტ “ფუფუნებას” წარმოადგენდა ჩვენი გუნდისთვის. მით უმეტეს, რომ “ნეფტიანიკი” მაღალი ოსტატობით და აზარტით აწარმოებდა კონტრიერიშებს, რომელთა რაოდენობა საკმარისზე მეტი იყო. თბილისელთა დაცვა და მეკარე დიდი დატვირთვით, გაჭირვებით იგერიებდა ს. და ი. მელქუმოვების და ტუაევის სახიფათო გასვლებს. ამას დაემატა ისიც, რომ პეტრიაშვილმა რამდენიმეჯერ ზედმეტად გააჩერა ბურთი, დააგვიანა მისი გათამაშება და კარის გადარჩენა კიდევ უფრო გაძნელდა.

ბაქოელთა გუნდმა საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა. იგი იბრძოდა ორგანიზებულად, მაღალ ტექნიკურ დონეზე, როგორც ტოლი ტოლთან. თბილისის “დინამოსა” და “ნეფტიანიკს” შორის დღემდე ჩატარებულ მატჩებში ბაქოელებს არც ერთხელ არ მოუპოვებიათ გამარჯვება და ტრადიცია ახლაც უცვლელი დარჩა, მაგრამ რომ ჩვენი გუნდი არ ყოფილიყო იმ საბრძოლო ფორმაში, რომელსაც მან მიაღწია ამ პერიოდისთვის, შეიძლება მოგებული მატჩების ისტორიას “ნეფტიანიკთან” მცირე კორექტივი ჰქონოდა.

იოლ გამარჯვებას არც არავინ მოელოდა, ვინაიდან ბაქოელები ახლა თამაშობენ ისე, როგორც არასოდეს. თბილისელებმა ენერგიულად, მონდომებით იბრძოლეს, შეძლეს საერთო უპირატესობის მოპოვება და აიღეს ეს საჭირო 2 ქულა. გოლი 66-ე წუთზე გაიტანა დათუნაშვილმა. მან კარგად

მიაწოდა კუთხური. ბურთმა ჩვეულებისამებრ მოუხვია, შეეხო მცველს, მეკარეს და გავიდა კარში – 1:0.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 5 ივლისი, 1966 წ.